

ც ნ ო ბ ა

02/05/08 “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-16 მუხლის, მე-4 მუხლის, “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირების წესების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების მისაღებად. მისი მიღების საფუძველია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

დადგენილების პროექტი ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიის მაძიებელი და ლიცენზიის მფლობელი მეწარმე სუბიექტებისათვის, მიუხედავად მისი ორგანიზებულ-სამართლებრივი ფორმისა. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირების წესების დამტკიცების შესახებ“ კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების მიღების ვადა განისაზღვროს 2008 წლის 16 ივნისამდე.

აღნიშნული ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი მოსაზრებები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაში 2008 წლის 25 მაისამდე.

მისამართი: ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45; 1077 ქ. თბილისი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი კომისია

02.05.08 წ.

ც ნ ო ბ ა

02/05/08 “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-16 მუხლის, მე-4 მუხლის, “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულია საჯარო ადმინისტრაციული

წარმოება „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების მისაღებად. მისი მიღების საფუძველია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

დადგენილების პროექტის მიზანია “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ”, “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” და ”რეგულირების საფასურის შესახებ” საქართველოს კანონების საფუძველზე, რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესის დადგენა. „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების მიღების ვადა განისაზღვროს 2008 წლის 16 ივნისამდე.

აღნიშნული ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი მოსაზრებები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაში 2008 წლის 25 მაისამდე.

მისამართი: ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45; 1077 ქ. თბილისი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი კომისია

02.05.08 წ.